

ევროპის ახალგაზრდული ინფორმაციის წესდება

მიღებულ იქნა 2004 წლის 19 ნოემბერს ქალაქ ბრატისლავაში (სლოვაკეთის რესპუბლიკა) ევროპის ახალგაზრდული ინფორმაციისა და კონსულტაციის სააგენტოს რიგით 15-ე გენერალური ასამბლეის მიერ.

პრეამბულა

ინტეგრირებულმა ევროპამ და იმ რთულმა საზოგადოებებმა, რომლებიც სავსეა გამოწვევებითა და ხელსაყრელი შემთხვევებით, ძალზედ მნიშვნელოვანი გახადა ევროპელი ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ასევე უნარი მისი სწორად გაანალიზებისა და გამოყენებისა. ახალგაზრდული ინფორმაციის მუშაობას შეუძლია დაეხმაროს მათ, რათა მიაღწიონ თავიანთ მისწრაფებებს და ხელი შეუწყოს გახდნენ საზოგადოების აქტიური წევრები. ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული ისეთი გზით რომელიც ფართო არჩევანის საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, რაც წააქეზებს და გააძლიერებს მათ ავტონომიას.

დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა გულისხმობს უფლებას ყველა ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს სრული, ობიექტური, მარტივად გასაგები და სანდო ინფორმაცია ყველა მათ მიერ დასმულ შეკითხვებსა და საჭიროებებზე. უფლება ინფორმაციის მიღებაზე უკვე აღიარებულია ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის, ზავშეთა უფლებათა კონვენციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციისა და ევროსაბჭოს მიერ მიღებული # (90) 7 რეკომენდაციით რომელიც მოიცავს ახალგაზრდების ინფორმირებას და კონსულტაციას ევროპის ფარგლებში. ეს უფლება ასევე გახდა საფუძველი ევროკავშირის მიერ ახალგაზრდული ინფორმაციისთვის გაწეული საქმიანობის განხორციელებისთვის.

შესავალი

უნივერსალური ახალგაზრდული საინფორმაციო სამუშაო მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც ინტერესის სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის და შეიცავს მთელ რიგ საქმიანობებს: ინფორმირება, კონსულტირება, რჩევის მიცემა, წინამძღოლობა, მხარდაჭერა, მეგობრულად მოპყრობა,წვრთნა, დატრენინგება და რეკომენდაციის გაწევა სპეციალიზებული სერვისის შესახებ. საქმიანობები შესაძლებელია მიწოდებულ იქნას ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრების, სხვა სტრუქტურების ახალგაზრდული საინფორმაციო სამსახურების მიერ ან თუნდაც ელექტრონული და სხვა მედია საშუალებებით. ამ წესდების პრინციპები შეესაბამება ყველა ფორმის ახალგაზრდული ინფორმაციის სამუშაოს. ისინი წარმოადგენენ იმ მინიმალურ სტანდარტების და ხარისხის ზომების საფუძველებს, რომლებიც უნდა დაინერგოს თითოეულ ქვეყანაში, როგორც ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული და კოორდინირებული მიდგომის ელემენტები ახალგაზრდული ინფორმაციის მუშაობაში, რომელიც ახალგაზრდული პოლიტიკის ნაწილია.

პრინციპები

შემდეგი პრინციპები წარმოადგენს სახელმძღვანელოს უნივერსალური ახალგაზრდული ინფორმაციის სფეროში მომუშავეთათვის, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიღების უფლების ქონა:

1. ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურების ცენტრები ღია უნდა იყოს ყველა ახალგაზრდა ადამიანისათვის გამონაკლისის გარეშე.
2. ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურების ცენტრები უნდა ცდილობდნენ უზრუნველყოფა გაუწიონ ინფორმაციის მიღების თანასწორ ხელმისაწვდომობას ყველა ახალგაზრდისათვის, მიუხედავად მათი მდგომარეობის, წარმოშობის, რელიგიის, ან სოციალური ჯგუფის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაუცველი ჯგუფების და სპეციფიკური მოთხოვნის მქონე ახალგაზრდებს.
3. ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურების ცენტრები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი ყოველგვარი წინასწარი შეხვედრის დანიშვნის აუცილებლობის გარეშე. მათ უნდა შეძლონ ახალგაზრდების ყურადღების მიპყრობა თავიანთი მეგობრული გარემოთი. მათი სამუშაო საათები უნდა ემთხვეოდეს ახალგაზრდების მოთხოვნებს.
4. ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდების მოთხოვნებს და მათ მიერ აღქმულ ინფორმაციულ საჭიროებებს. იგი უნდა მოიცავდეს ყველა იმ თემას, რომლითაც შეიძლება დაინტერესდეს ახალგაზრდობა და უნდა იყოს მუდმივ განახლების რეჟიმში რათა მოიცვას მომავალი საინტერესო თემები.
5. თითოეული მომხმარებელი უნდა შეფასდეს როგორც ინდივიდუალი და თითოეულ კითხვაზე უნდა მიიღოს პერსონალიზირებული პასუხი. ეს უნდა გაკეთდეს ისეთი გზით, რომელიც უფლებამოსილებას მიანიჭებს მომხმარებლებს, ხელს შეუწყობს მათ ავტონომიის განავითარებს, მათი ინფორმაციის მიღებისა და გაანალიზების უნარს.
6. ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურება უნდა იყოს უფასო.
7. ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული ისეთი გზით, რომელიც პატივს სცემს მომხმარებლების კონფიდენციალურობას და მათ უფლებებს არ გამოავლინონ საკუთარი ვინაობა.
8. ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნეს პროფესიონალურ დონეზე სპეციალურად დატრენინგებული პერსონალის მიერ.
9. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი, ახალი, ზუსტი, პრაქტიკული და მოსახერხებელი.
10. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ობიექტური ინფორმაციის მიწოდება პლურალიზმისა და მიმდემი წყაროს დაზუსტების მეშვეობით
11. მიწოდებული ინფორმაცია არ უნდა იყოს მოქცეული რელიგიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ან კომერციული ზეგავლენის ქვეშ.
12. ახალგაზრდულ საინფორმაციო მომსახურების ცენტრები უნდა ცდილობდნენ მიიქციონ დიდი რაოდენობის ახალგაზრდების ყურადღება ისეთი გზების მეშვეობით რომლებიც იქნება ეფექტური და შესაბამისი მათი სხვადასხვა საჭიროებებისთვის. ამავდროულად საჭიროა ეს მოხდეს შემოქმედებითი და ინოვაციური სტრატეგიული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით.
13. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდული საინფორმაციო სამუშაოებში სხვადასხვა ეტაპებზე, ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს შეიძლება მოიცავდეს

ინფორმაციის მიღების მოთხოვნის ამოცნობას, ინფორმაციის მომზადებას და მიწოდებას, ინფორმაციული მომსახურების, პროექტების და ასევე თანასწორი ჯგუფების საქმიანობების მართვას.

14. ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურების ცენტრები უნდა თანამშრომლობდნენ სხვა ახალგაზრდული სერვისების სააგენტოებთან, განსაკუთრებით მათ გეორგრაფიულ არეალში და უნდა შუამავლობდნენ სხვადასხვა სააგენტოებსა და ახალგაზრდებს შორის.
15. ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურების ცენტრები უნდა ეხმარებოდნენ ახალგაზრდებს მიიღონ ინფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და ასევე განავითარონ მათი სწორად გამოყენების უნარი.
16. დამფინანსებელი წყაროები არ უნდა უშლიდნენ ხელს საინფორმაციო მომსახურების ცენტრებს ამ წესდებაში აღნიშნული პრინციპების მიყოლას.